

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა
საგნის გამოცდებისათვის

სამოქალაქო განათლება

თბილისი

2016

კვლევისა და საგნობრივი ჯგუფების დეპარტამენტი

@2016 შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

სარჩევი

შესავალი	4
სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა	6
ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები	11
ინტერნეტ რესურსები	35
სამოქალაქო განათლების ახალი ფორმატის ტესტის ნიმუში და ტესტის შეფასების სქემა	36

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2011 წლიდან ატარებს სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას.

2015 წლიდან მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა ამოქმედდა. სქემის მიხედვით, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობად განისაზღვრა შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარება.

ახალი სქემის მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტის ფორმატი. კერძოდ, საგნობრივი საგამოცდო ტესტი აღარ შეამოწმებს საგნის სწავლების მეთოდიკას. შემოწმდება მხოლოდ სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ცოდნა და უნარები.

ასევე შეიცვალა სამოქალაქო განათლების ტესტის ჯამური ქულა, კერძოდ, 70 ქულის ნაცვლად 60 ქულიანი გახდა. ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% ზღვარი (კანდიდატმა უნდა დააგროვოს 60% + 1 ქულა, ანუ 37 ქულა და მეტი).

2016 წლიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოცდებს ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ატარებს. ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. აპლიკანტი დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.

წინამდებარე კრებულის მიზანია, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს გააცნოს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ნიმუშები.

კრებულს თან ახლავს კომპიუტერზე მორგებული ახალი ფორმატის ტესტის ნიმუში და ტესტის შეფასების სქემა.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ 2016 წლის პედაგოგთა სამოქალაქო განათლების საგნის გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

მასწავლებელთა საგნის გამოცდები

სამოქალაქო განათლება

2016 წლის საგამოცდო პროგრამა

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს საზოგადოებრივ მეცნიერებებში (საბაზო და საშუალო საფეხური).

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
I. პროფესიული უნარ-ჩვევები	
<p>1. კვლევა</p>	<p>1.1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის გაანალიზება;</p> <p>1.2. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და მრავალმხრივი გაანალიზება;</p> <p>1.3. საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება.</p> <p>1.4. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი საზოგადოების ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში.</p> <p>1.5. სამოქალაქო ცხოვრების, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი;</p> <p>1.6. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლების ანალიზი;</p> <p>1.7. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის მოქალაქეთა შესაძლებლობების შესწავლა-ანალიზი;</p> <p>1.8. საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის სამოქალაქო მონაწილეობითი პროცესების მნიშვნელობის ანალიზი;</p>
<p>2. შეფასება</p>	<p>2.1. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა;</p> <p>2.2. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება;</p> <p>2.3. მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება.</p> <p>2.4. კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაში დემოკრატიის მიზნების, ღირებულებებისა და პრინციპების ასახვის შეფასება;</p> <p>2.5. ქვეყნის დემოკრატიაში მოქალაქეების როლის, მათი პირადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების შეფასება;</p>

II. პროფესიული ცოდნა	
1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები	<p>1.1. საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი საგანი და კვლევის ასპექტები.</p> <p>1.2. პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები;</p> <p>1.3. კულტურის არსი, რაობა და მისი მრავალფეროვნება;</p> <p>1.4. რელიგია, როგორც კულტურული ფენომენი;</p>
2. საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოყენებული ძირითადი მეთოდები	<p>2.1. მსჯელობა - ფაქტი და მოსაზრება;</p> <p>2.2. ანალიზი (მიზეზ-შედეგობრივი, შედარებითი, სიტუაციური);</p> <p>2.3. სოციალური სტატისტიკა და ანალიზი;</p> <p>2.4. კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.</p>
3. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები	<p>3.1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები;</p> <p>3.2. ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;</p> <p>3.3. უფლებებისა და თავისუფლებების არსი;</p> <p>3.4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია;</p> <p>3.5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.</p>
4. კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა	<p>4.1. კონფლიქტი: მისი მართვა, გადაჭრა, ტრანსფორმაცია, კონფლიქტის ანალიზის ტექნიკები;</p> <p>4.2. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები და ტიპები;</p> <p>4.3. მშვიდობა, როგორც პროცესი – მისი არსი და სწავლების სტრატეგიები;</p> <p>4.4. ფორმალური და არაფორმალური სამშვიდობო განათლება.</p>
5. მშვიდობიანი თანაარსებობა და მრავალფეროვანი გარემო	<p>5.1. უმრავლესობა, უმცირესობები, მოწყვლადი ჯგუფები;</p> <p>5.2. თანასწორობა და დისკრიმინაცია;</p> <p>5.3. ინტეგრაცია და ასიმილაცია;</p> <p>5.4. სტერეოტიპები;</p> <p>5.5. ტოლერანტობა: მისი არსი და განზომილებები.</p>
6. დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები	<p>6.1. დემოკრატიის მიზნები, ღირებულებათა საფუძვლები და პრინციპები;</p> <p>6.2. დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები;</p> <p>6.3. დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში.</p>

<p>7. ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მათი ურთიერთქმედება</p>	<p>7.1. საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება;</p> <p>7.2. საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სისტემები;</p> <p>7.3. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი კომპონენტები: არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ინტერესთა ჯგუფები და არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებები;</p> <p>7.4. სამოქალაქო მონაწილეობა.</p>
<p>8. მოქალაქეობა და მისი ასპექტები</p>	<p>8.1. მოქალაქეობის სოციალური როლები;</p> <p>8.2. მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა;</p> <p>8.3. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიაში;</p> <p>8.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის ინფორმირებული, დაფიქრებული და ეფექტური მონაწილეობის ფორმები.</p> <p>8.5. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა.</p>
<p>9. გლობალური პრობლემები და მისი მოგვარების გზები</p>	<p>9.1. სოციალური დაავადებები – ალკოჰოლიზმი და ნარკომანია;</p> <p>9.2. არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;</p> <p>9.3. განათლება და მისი ხელმისაწვდომობა;</p> <p>9.4. დევნილები და ლტოლვილები;</p> <p>9.5. სიღარიბე და მისი დამღვევის გზები;</p> <p>9.6. მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები;</p> <p>9.7. არათანაბარი განვითარება და კორუფცია;</p> <p>9.8. ტრეფიკინგი;</p> <p>9.9. სახელმწიფოს ძლიერების თანამედროვე მახასიათებლები და გლობალიზაცია;</p> <p>9.10. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოს ურთიერთობების პრინციპები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან;</p>
<p>10. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები</p>	<p>10.1. მმართველობა და თვითმმართველობა;</p> <p>10.2. ძირითადი პოლიტიკური თეორიები და მათი არსი;</p> <p>10.3. სახელმწიფოს ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა;</p> <p>10.4. სახელმწიფოს ტიპები: მმართველობის ფორმები, საზოგადოებრივი წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმები;</p> <p>10.5. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მახასიათებლები;</p> <p>10.6. კანონის უზენაესობა და კანონიერება;</p> <p>10.7. სამართლებრივი კულტურა;</p> <p>10.8. საერთაშორისო სამართლის სახეები</p>

	<p>(ჰუმანიტარული, სისხლის სამართალი, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, შრომის და ა.შ.) და მისი მნიშვნელობა;</p> <p>10.9. საქართველოში სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები;</p> <p>10.10. საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან (საქართველოს კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები).</p>
<p>11. ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები</p>	<p>11.1. ძირითადი ეკონომიკური სისტემები;</p> <p>11.2. ბაზრები და მათი ტიპები;</p> <p>11.3. ფული და მისი ფუნქციები;</p> <p>11.4. ეკონომიკური საქმიანობა, ბიზნესის ფორმები, ორგანიზება და დაფინანსება;</p> <p>11.5. კეთილდღეობის არსი და მნიშვნელობა;</p> <p>11.6. საზოგადოებრივი სარგებლობის საქონელი და მომსახურება;</p> <p>11.7. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა;</p> <p>11.8. პროფესიონალიზმი და ცოდნის ეკონომიკა;</p> <p>11.9. ეკონომიკური გარემო;</p> <p>11.10. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.</p>

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი (რეპროდუცირება);
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა (იდენტიფიცირება);
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა (ტრანსფორმაცია);
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი (პროდუცირება);
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი (თავისუფალი პროდუცირება).

ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები

○ დავალება არჩევითი პასუხებით

დავალების აღწერა – დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და განსხვავებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, გამოვლენის უნარს. ამ ტიპის დავალებებით შემოწმდება ასევე საგნის სწავლების მეთოდის ცოდნაც. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- რომელი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?
 - ა. ევროპის სოციალური ქარტია
 - ბ. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილი
 - გ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
 - დ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

სწორი პასუხი: დ.

- საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის წესს. კანონის თანახმად დასაშვებია:

- ა. პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით;
- ბ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე;
- გ. მოქალაქე იყოს ერთზე მეტი პარტიის წევრი;
- დ. პარტია იყოს სამეწარმეო იურიდიული პირი;

სწორი პასუხი: პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით. კანონის მიხედვით, პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი, ხოლო მოქალაქეთა ჯგუფს პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე შეუძლია.

სწორი პასუხი: ბ.

- ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები:


„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“

რა არის ამ სიტყვების ძირითადი იდეა?

- ა. ნაცისტების მიერ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განადგურების ფაქტის აღწერა;
- ბ. იმის დემონსტრირება, რომ სოციალურ ჯგუფებს არ ახასიათებთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა;
- გ. მოწოდება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას იმ სოციალური ჯგუფის უფლება, რომლის წევრიცაა;
- დ. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას სხვისი უფლება, რომ თავად იყო დაცული.

სწორი პასუხი: დ

- ყურადღებით გაეცანით დიაგრამას, რომელიც ასახავს ქალისა და მამაკაცის ქცევას ოჯახში. კერძოდ, საოჯახო საქმიანობაში მათ ჩართულობას:



რომელი დასკვნა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა. საოჯახო საქმიანობას მხოლოდ ქალები ასრულებენ;
- ბ. ჩვეულებრივ, გენდერული როლები ოჯახში მკვეთრადაა გამიჯნული;
- გ. საოჯახო საქმიანობები თანაბრადაა განაწილებული ქალსა და მამაკაცს შორის;
- დ. საოჯახო საქმიანობას ოჯახში ძირითადად დაქირავებული პირი ასრულებს.

სწორი პასუხი: ბ

○ შესაბამისობის დადგენა

დავალების აღწერა – დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები იწერება პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მისი გამოყენების უნარს, ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების, განზოგადების, ინფორმაციათა შორის შესაბამისობის დამყარების, ინფორმაციის გაანალიზების უნარს. თითოეული დავალება 1 ან 2 ქულით ფასდება.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- ეფექტური კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითარება. I სვეტში მოცემულია მსმენელთა პასუხები მოსაუბრის გამონათქვამზე, შეუსაბამეთ II სვეტში მოცემულ პასუხის ტიპებს.


I	II
<p>მოსაუბრე: „ძალიან მიჭირს საქმეს თავი გავართვა, იმდენი რამ მაქვს მოსაწესრიგებელი, ხარისხიანად ვერაფერს ვაკეთებ“</p> <p>მსმენელთა პასუხი:</p> <p>ა. „შარშან ზუსტად ასე ვიყავი, ვარჯიში დავიწყე და თითქოს მეტი ენერჯია გამიჩნდა. ასე საქმესაც უკეთ მოასწრებ;“</p> <p>ბ. „მესმის, სტრესულია, როდესაც ბევრი საქმე გაქვს და წესიერად ვერაფერს ასწრებ;“</p> <p>გ. „რას ამბობ, შენ ხომ ყოველთვის ისეთი ორგანიზებული ხარ. ალბათ გარშემომყოფები არ გაცლიან, რომ შენს საქმეს მიხედო;“</p> <p>დ. „მართლა? სამსახურის საქმეს გულისხმობ, თუ - სახლის?;“</p> <p>ე. „ნუ იტყვი. მეც ასე ვარ. ამ ყველაფერს დროის არასწორი განაწილება იწვევს.“</p>	<p>1. აქტიური მოსმენა</p> <p>2. ინტერპრეტაცია</p> <p>3. რჩევა</p>

სწორი პასუხი:

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

I	ა	ბ	გ	დ	ე
II	3	1	2	1	2

- რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყანათა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს (Heritage Foundation, 2015). რუკის ანალიზის საფუძველზე, დაამყარეთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის.



I.	II.
ა. ნარინჯისფერი 	1. ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონე
ბ. მწვანე 	2. ეკონომიკური თავისუფლების საშუალო დონე
გ. წითელი 	3. ეკონომიკური თავისუფლების საშუალოზე მაღალი დონე
დ. ყვითელი 	4. ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონე

სწორი პასუხი:

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 1

I	ა	ბ	გ	დ
II	2	4	1	3

○ **თანმიმდევრობის განსაზღვრა**

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს მითითებული პრინციპის შესაბამისად (მოვლენათა ქრონოლოგია, პროცესის ეტაპების თანმიმდევრობა და სხვ.). პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ჩამონათვალის შესაბამისი ციფრი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნასა და ცოდნის გამოყენების, ინფორმაციის მოცემული პრინციპის შესაბამისად დალაგების უნარს. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- დაალაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები მათი გამოყენების ასაკის შესაბამისად:

1. მოსამართლეობა
2. საკრებულოს წევრობა
3. საკუთარი ქონების განკარგვა
4. პრეზიდენტობის კანდიდატობა

სწორი პასუხი: ქონების განკარგვა – 18 წლიდან, საკრებულოს წევრობა – 21 წლიდან, მოსამართლეობა – 28 წლიდან, პრეზიდენტობის კანდიდატობა – 35 წლიდან,

3	2	1	4*
---	---	---	----

* ბოლო პასუხი მითითებულია ცხრილში.

- ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალი დაალაგეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელის შესაბამისად:

1. მიღწევა, სტატუსი, რეპუტაცია
2. დაცულობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება
3. პიროვნების განვითარება და რეალიზაცია
4. ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა

სწორი პასუხი: მოტივაციის იერარქიული თეორია: უსაფრთხოება, მიკუთვნება და სიყვარული, თვითპატივისცემა, თვითაქტუალიზაცია

2*	4	1	3
----	---	---	---

* პირველი პასუხი მითითებულია ცხრილში.

○ **ღია დავალება**

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით გაეცანით პირობას და გაეცით კონკრეტული პასუხი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ შესაბამის ადგილას. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მსჯელობის, არგუმენტირების, დასაბუთების, საკითხის ცოდნისა და ახსნის უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- ახსენით, რა არის სტერეოტიპი. დაასახელეთ სტერეოტიპული შეხედულების მაგალითი. რა უარყოფითი მხარე აქვს სტერეოტიპულ აზროვნებას.

სწორი პასუხია:


სქემატური, განზოგადებული შეხედულება რაიმე სოციალურ მოვლენაზე ან ობიექტზე. ადამიანთა ჯგუფის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენის გავრცელება (პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების მიწერა) ჯგუფის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს წარმოდგენა კონკრეტულ ინდივიდებს. (1 ქულა)

მაგალითი – „გერმანელები არიან შრომისმოყვარენი“, „ქალები ცუდად მართავენ მანქანას“. (1 ქულა)

უარყოფითი მხარე – სტერეოტიპული აზროვნების დროს ხდება ადამიანების ან იდეების გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია. (1 ქულა)

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. შესაბამისი მაგალითის მოყვანა – 1 ქულა, უარყოფითი მხარის ჩვენება – 1 ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

- გაეცანით სქემას და დაასახელეთ საწარმოო რესურსების სახეები:



სწორი პასუხი:

ადამიანური; ბუნებრივი; კაპიტალური;

შეფასება: სამივე რესურსის სწორად დასახელება - 2 ქულა, ორი სწორი პასუხი -1 ქულა, მხოლოდ ერთი სწორად დასახელებული რესურსი - ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

○ **ზედმეტის ამოცნობა**

დავალების აღწერა:

ამ ტიპის დავალებებში მოცემულია სხვადასხვაგვარი ჩამონათვალი (ტერმინები, ფაქტები, ცნებები, მოვლენები, სახელწოდებები, ისტორიული პირები და ა.შ.). აქვე მითითებულია, რომ ამ ჩამონათვალში ერთ-ერთი ზედმეტია; აპლიკანტს მოეთხოვება ახსნას, თუ რა ძირითადი ნიშნითაა იგი ზედმეტი, ძირითადი ჩამონათვალისათვის დამახასიათებელი რომელი ნიშანი არ ახასიათებს მას. ზოგიერთ შემთხვევაში, აპლიკანტს დავალება თავად ამოიცნოს ჩამონათვალიდან ზედმეტი და შემდეგ ახსნას. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების, ინფორმაციის ანალიზის, ფაქტებს/მოვლენებს შორის არსებული ურთიერთკავშირის, მსგავსება-განსხვავების გამოვლენის, ლოგიკური აზროვნების უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- ჩამოთვლილთაგან ზედმეტია მანუელ დურაუ ბაროზუ. აუხსენით მოსწავლეს, რა განსხვავებაა მასსა და დანარჩენ ჩამოთვლილ პირთა შორის.

ა) მანუელ დურაუ ბაროზუ

ბ) ბუტროს-ბუტროს გალი

გ) ბან კი მუნი

დ) კოფი ანანი

სწორი პასუხი: ბაროზუსაგან განსხვავებით, ბუტროს-ბუტროს გალი, კოფი ანანი და ბან კი მუნი გაეროს გენერალური მდივნები არიან. (1 ქულა)

- ჩამოთვლილთაგან გამოყავით ზედმეტი და ახსენით თქვენი არჩევანი.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლება

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლება

გ) სასამართლო ხელისუფლება

დ) მეოთხე ხელისუფლება

სწორი პასუხი: ზედმეტია მეოთხე ხელისუფლება; საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოებია; მეოთხე ხელისუფლებას კი ემახიან მასმედიას თავისი ძალაუფლებისა და გავლენის გამო. (1 ქულა)

○ **შეცდომის გასწორება**

დავალების აღწერა:

ვარიანტი I: დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული ინფორმაცია შეცდომებით არის მოცემული. პედაგოგმა უნდა აღმოაჩინოს და შეასწოროს შეცდომები. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ვარიანტი II: დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ორივე ტექსტი შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. პედაგოგის ამოცანაა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალებების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ვარიანტი I:

- ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:

1859 წლის 24 ივნისს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ სოლფერინოში გაიმართა ბრძოლა ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის. თექვსმეტი საათის შემდეგ ბრძოლის ველზე 40 ათასი დაჭრილი და მოკლული ჯარისკაცი სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა. ნანახით შეძრწუნებულმა ნორვეგიელმა ბიზნესმენმა ანრი დიუფურმა, თავის ოთხ თანამემამულესთან ერთად 1869 წელს დაჭრილთა დახმარების კომიტეტი დააარსა. მას შემდგომში თეთრი ლენტის საერთაშორისო კომიტეტი ეწოდა.

დღესათვის ეს საერთაშორისო მოძრაობა თითქმის ყველა ქვეყანაში საქმიანობს და დაახლოებით 100 მილიონ წევრსა და მოხალისეს აერთიანებს. შემუშავდა ორი კონვენცია, რომლებიც ომის წარმოების ჰუმანიტარულ წესების განსაზღვრავენ. ჰელსინკის კონვენციების სახელით ცნობილი ეს კონვენციები, დღესაც ძალაშია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუძემდებელ დოკუმენტს წარმოადგენენ.

სწორი პასუხი:

შეცდომითაა	უნდა იყოს
ნორვეგიელმა	შვეიცარიელმა
ანრი დიუფურმა	ანრი დიუნანმა
1869 წელს	1863 წელს
თეთრი ლენტის	წითელი ჯვრის
ორი	ოთხი
ჰელსინკის	ჟენევის

შეფასება: ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

ვარიანტი II:

- (8) დავალებაში მოცემულია ტექსტები თემაზე „დემოკრატია“. ტექსტები შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს. გაეცანით მათ, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით.

I ტექსტი:

წარმომადგენლობითი დემოკრატია მართვის ისეთი ფორმაა, როდესაც ხალხი უშუალოდ კი არ იღებს ქვეყნის მართვაში მონაწილეობას, არამედ მართავს მის მიერ არჩეული და ანგარიშვალდებული წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთერთი ძირითადი ელემენტია არჩევნები.

ჩვენ ქვეყანაში არჩევითი ორგანოა პარლამენტი, ასევე მოსახლეობა ირჩევს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ირჩევა ოთხი წლით, ხოლო პარლამენტი - ხუთით. პარლამენტის არჩევნები შეიძლება იყოს პროპორციული და მაჟორიტარული. პროპორციულია, როდესაც პარტიები მათი წევრების პროპორციულად ხვდებიან პარლამენტში. მაჟორიტარული სისტემაში პარტიიდან წარმოდგენილ კონკრეტულ კანდიდატს ვაძლევთ ხმას.

რეფერენდუმი ეწოდება ხალხის აზრის გამოკითხვას ამათუიმ საკითხზე, ამით ხელისუფლება არკვევს ხალხის აზრს, ხოლო პლემბისციტის შემთხვევაში ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს და მხოლოდ სხვა პლემბისციტს შეუძლია მისი შედეგების შეცვლა.

ჩემი აზრით, არჩევნებიდან არჩევნებამდე ვადები განისაზღვრა ისე, რომ ერთი მხრივ, პოლიტიკოსებმა მოასწრონ თავიანთი წინასაარჩევნო დაპირებების განხორციელება, ხოლო, მერე მხრივ, არ იყვნენ ძალიან დიდი ხანი ხელისუფლებაში ისე, რომ ხალხმა უკმაყოფილების შემთხვევაში არჩევნებით ვერ შეძლოს მათი დროულად შეცვლა. ასევე იცვლება საზოგადოების აზრი სხვადასხვა საკითხებზე და ეს უნდა აისახოს ხელისუფლების შემადგენლობაში.

II ტექსტი:

წარმომადგენლობითი დემოკრატია ეწოდება მართვის ისეთ ფორმას, როდესაც ხალხი წარმოადგენს ხელისუფლების წყაროს და ნებისმიერი გადაწყვეტილება მომდინარეობს მათგან. შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობაც მათი განუყოფელი უფლებაა.

საქართველოში არჩევნებით ვირჩევთ პრეზიდენტს ხუთი წლით და პარლამენტს ოთხი წლის ვადით. პარლამენტის არჩევნები ტარდება პროპორციული და მაჟორიტარული წესით. პროპორციულია, როდესაც ჩვენ ხმას ვაძლევთ პარტიას, ხოლო მაჟორიტარულია, როდესაც რომელიმე რაიონში ხმას ვაძლევთ კონკრეტულ ადამიანს.

გარდა წარმომადგენლობითი დემოკრატიისა, არსებობს ასევე უშუალო დემოკრატია, ხალხი იღებს გადაწყვეტილებებს რეფერენდუმით, რომლის შედეგების გათვალისწინება სავალდებულოა. ასევე, სახელმწიფო ხალხის მოსაზრების გასარკვევად ატარებს საყოველთაო გამოკითხვას, რომელსაც პლემბისციტი ეწოდება და ამ გზით მიღებულ გადაწყვეტილებასაც კანონის ძალა აქვს.

არჩევნებს შორის დადგენილი ვადები გამომდინარეობს კონსტიტუციიდან და სინქრონიზირებულია საკანონმდებლო პროცესებთან და ბიუჯეტის შემუშავებასთან, ამიტომაც არის მოცემული ვადები მკაცრად გაწერილი და სავალდებულო. ერთი და იმავე ადამიანების ხელისუფლებაში დიდხანს ყოფნა ზრდის იმის საფრთხეს, რომ მათი გაკონტროლება საზოგადოების მხრიდან შეუძლებელი გახდება. ვადები შედარებით მცირე იმიტომ არის, რიომ სხვა ადამიანებსაც მიეცეთ ხელისუფლებაში ყოფნის საშუალება.

შეფასების სქემა

	I. რა მოწმდება	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	წარმომადგენლობითი დემოკრატიის განმარტება	1	მოცემულია სწორი განმარტება –1ქ. , არ არის განმარტება სწორი – 0 ქ.;
B.	საარჩევნო სისტემები და ვადები	3	ტექსტი სწორად განმარტავს არჩევნების პროპორციულ სისტემას – 1ქ., ტექსტი სწორად განმარტავს არჩევნების მაჟორიტარულ სისტემას – 1ქ., არ არის ახსნილი თუ რა ვადებით ირჩევა როგორც პრეზიდენტი, ისე პარლამენტი – 1ქ.;
C.	რეფერენდუმი და პლებისციტი	2	მოცემულია სწორი მსჯელობა რეფერენდუმზე – 1ქ., მოცემულია სწორი მსჯელობა პლებისციტზე – 1ქ.;
D.	მსჯელობა საარჩევნო ვადის ოპტიმალურობის შესახებ	4	თითოეული ლოგიკური არგუმენტი - თითო ქულა.

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე.

თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ ცხრილში.

სწორი პასუხი:

		A	B	C	D
24.1	I შეფასება	1	0	0	3
24.2	II შეფასება	0	3	1	2

შეფასება: თითოეული სწორი შეფასებისთვის პედაგოგი ერთი ქულით შეფასდება. ამ დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

○ *ილუსტრაციის ანალიზი*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია ილუსტრაცია, რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ილუსტრაციის მთავარი საზრისის, პრობლემის ანალიზის, სიმბოლოების გაგებისა და საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:



1. რა პრობლემას ასახავს მოცემული ილუსტრაცია?
2. დაასახელეთ სამი ელემენტი, რომელთა გამოყენებითაც არის აგებული ილუსტრაცია და ახსენით, როგორ ქმნიან თქვენს მიერ დასახელებული საგნები ერთიან საზრისს.
3. იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის შესახებ.

სწორი პასუხის ნიმუში:

1. ადამიანის მიერ ბუნებისადმი ცუდად მოპყრობას.
2. ნაჯახი; ადამიანი; ხე. ილუსტრაციის მიხედვით, ადამიანი ნაჯახის საშუალებით ჩეხავს ხეს, რომელიც საკუთარი სხეულის ნაწილს წარმოადგენს. ანუ ბუნება, რომელსაც ადამიანი ცუდად ეპყრობა, უფრო მეტად არის ადამიანთან დაკავშირებული, ვიდრე მას ხშირად წარმოუდგენია.
3. მიმაჩნია, რომ ადამიანი, ხშირად ვერ აცნობიერებს თუ რამდენად გადაჯაჭვულია ის იმ გარემოსთან, რომელშიც ცხოვრობს. ხე შეიძლება მრავალმხრივ გამოსადეგია, როგორც რესურსი, მაგრამ იგი ამავდროულად ჟანგბადს წარმოქმნის, რის გარეშე ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ანუ შეიძლება ითქვას, ხის მოჭრით ჩვენ თავსაც ვიკლავთ. მეორეს მხრივ, ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანს ეხმარება სულიერ განვითარებაში, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, რომელიც შეესაბამება კითხვას 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

○ *პრობლემის გადაჭრა*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის დასახული მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრულყოფილი აღწერა. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა სრულქმნას პროექტი ისე, რომ პროექტის მიზანი, ამოცანები და განხორციელების გზები ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს. მოცემული დავალება ამოწმებს პრობლემის გადაჭრისა და პროექტის სტრუქტურირების საბაზისო ცოდნას. მოცემული დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 2)*
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 3)*
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 1)*

სასკოლო პროექტი		
1.	პროექტის მიზანი	<i>(ჩაწერეთ მიზანი რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</i>
2.	პროექტის ამოცანები	<p><u>I ამოცანა:</u> <i>(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</i></p> <p><u>II ამოცანა:</u> ანტინიკოტინური კამპანიის წარმართვა სკოლაში</p>
3.	განხორციელების გზები	<p><u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • გამოჩენილ სპორტსმენებთან მოსწავლეთა შეხვედრების მოწყობა; • „მხიარული სტარტების“ ჩატარება; • სპორტის მოყვარულთა კლუბის შექმნა. <p><u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> <i>(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)</i></p> <p><u>1.</u></p> <p><u>2.</u></p> <p><u>3.</u></p>

სწორი პასუხის ნიმუში:

1.1 1 ქ.

პროექტის მიზნის შესაბამისად განსაზღვრა და მკაფიოდ ჩამოყალიბება

ნიმუში: სკოლაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

1.2 1 ქ.

პროექტის ამოცანის განხორციელების გზების შესაბამისად და მკაფიოდ ჩამოყალიბება

ნიმუში: მოსწავლეთა სპორტული აქტივობის გაზრდა;

1.3 მაქსიმალური 3 ქ.

ყოველი დასახელებული განხორციელების გზა, რომელიც ამოცანის შესაბამისია - 1 ქ.

ნიმუში:

- სიგარეტის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;
- ანტინიკოტინური პოსტერების სასკოლო კონკურსის ჩატარება;
- ექიმებთან შეხვედრების მოწყობა;
- იმ ცნობილი ადამიანების მოწვევა, რომლებმაც მოწვევას თავი დაანებეს;
- ანტინიკოტინური აქციების მოწყობა;

○ *არგუმენტირებული მსჯელობა*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი ან გრაფიკული). წყაროში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პედაგოგმა უნდა განსაზღვროს სადისკუსიო თემა, ჩამოაყალიბოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია და მოიყვანოს არგუმენტები თითოეული თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავალება ამოწმებს სადისკუსიო თემის სწორად განსაზღვრის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. დავალების მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

- გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

„მე ჩემის შეგნებისა და გვარად მაქვს სურვილი ვემსახურო თქვენს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას და ეროვნული საქმის განმტკიცებას. საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო ის, თუ რანაირად მესმის მე ეროვნული საქმის განმტკიცება... ეკლესიაში არ არის განსხვავება ხალხთა შორის, სისხლის შთამომავლობით სხვადასხვაობას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. ...

... თაიგული მით უფრო მშვენიერია, რამდენად ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვაძლევს სხვის რწმენისა და ენის დევნილობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში.“

ამბროსი ხელაია, სიტყვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართული საზოგადოების წინაშე (1918 წ).

1. ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა. დაასაბუთეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისობა მოცემულ ტექსტთან და მისი აქტუალობა.
2. დაასახელეთ ორ-ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად (თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

სწორი პასუხის ნიმუში:

<p>1. სადისკუსიო თემა: რელიგიური პლურალიზმი</p> <p>დასაბუთება: ტექსტში ნახსენებია თაიგულის მრავალფეროვნება მასში შემავალი ყვავილების სიმრავლით გამოწვევული. ვფიქრობ ეს სწორედ რელიგიური პლურალიზმის მაგალითია. თაიგული შეიძლება გავაიგივოთ საზოგადოებასთან, ხოლო ყვავილები განსხვავებული რწმენის მოქალაქეებთან.</p>
<p>2. არგუმენტები:</p> <p>მტკიცებითი არგუმენტები:</p> <p>I. ა. ქმნის თავისუფალ გარემოს მოქალაქეებისათვის, რათა მათ ის რელიგია ირწმუნონ, რომელიც მათ სურთ.</p> <p>II. აღმოფხვრის დაპირისპირებას სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის, რომელიც შეიძლება გაჩენილიყო რომელიმეს შეზღუდვის შემთხვევაში.</p>
<p>უარყოფელი არგუმენტები:</p> <p>I. ა. ხელს უწყობს სხვადასხვა სექტის განვითარებას, რომელიც შესაძლოა არ იყოს მისაღები საზოგადოების ფართო მასებისათვის.</p> <p>II. რელიგია ძალიან ემოციური თემაა, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის თანაარსებობა რთულია. არსებობს საშიშროება სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების.</p>

შეფასება:

1. მაქსიმალური 2 ქულა

2 ქულა: სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ასევე, მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი სადისკუსიო თემის მიმართება მოტანილ ნაწყვეტთან/ ნაჩვენებია თემის აქტუალობა. **1 ქულა:** თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. არის პრობლემატური, ორმხრივი, დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, თემის აქტუალობის შესახებ მსჯელობა არადამაჯერებელია.

1 ქულა: თემა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ან ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ ტექსტს, თუმცა იძლევა დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას. მოცემულია დამაჯერებელი მსჯელობა თემის აქტუალობის შესახებ.

0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არ შეესაბამება ტექსტს.

2. მაქსიმალური 4 ქულა

თითო მტკიცებითი არგუმენტი - **1 ქულა**, თითო უარყოფითი არგუმენტი - **1 ქულა**: სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი, დადებითი ღირებულების მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით; თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.

ინტერნეტ რესურსები:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვებ-გვერდი:
<http://www.nplg.gov.ge/>

[საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკის კოლექცია](#)
და [სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა](#) შეიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი წიგნებისა და მათი ავტორების შესახებ:
 - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>
 - CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა:
<http://el.ge>
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა:
http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/library/human_right_ge.asp
- სამოქალაქო განათლების ვებ პორტალის ბიბლიოთეკა. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა, PH international:
<http://www.civics.ge/index.php?m=844>
- პროექტი „დემოკრატია იწყება შენით!“ ვებ პორტალის ბიბლიოთეკა.
<http://www.dswy.eu/index.php?a=main&pid=18&lang=geo&page=1>



შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტი და პასუხების ფურცელი. ტესტში სხვადასხვა ტიპის 25 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ კითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. ყველა პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. ღია დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები). პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს. გთხოვთ, წეროთ გარკვევით.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გაითვალისწინეთ:

პასუხის ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

გისურვებთ წარმატებას!

შემდეგ გვერდზე გადასასვლელად გამოიყენეთ ისარი



წინა გვერდზე დასაბრუნებლად გამოიყენეთ ისარი



ინსტრუქცია

➤ დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 21.2, 25.1)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ თანმიმდევრობის დადგენა (№14)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

➤ შესაბამისობის დადგენა (№15-17)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

ინსტრუქცია

➤ შეცდომის გასწორება (№19)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

➤ დავალება ღია დაბოლოებით (№18, 20, 21.1, 21.3, 22-24, 25.2-25.6)

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით და მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

1. რა ეწოდება განსხვავებული ადამიანის, ჯგუფის, უცხო კულტურის მიმართ სიძულვილს?

ა. სეგრეგაცია

ბ. ქსენოფობია

გ. სოციოფობია

დ. დისკრიმინაცია

2. რა ეწოდება მრავალფეროვან გარემოში განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს შორის კომუნიკაციის განვითარებას, ტოლერანტობისა და მიმღებლობის ხელშეწყობას?

ა. პროკულტურული განათლება

ბ. ინტერკულტურული განათლება

გ. კონტრკულტურული სწავლება

დ. ექსტრაკულტურული სწავლება

3. დემოკრატიული მმართველობის რომელი ფორმა ითვალისწინებს სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელებას მოქალაქეთა მიერ არჩეული პირების მიერ?

ა. უმუხლო

ბ. პირდაპირი

გ. მონაწილეობითი

დ. წარმომადგენლობითი

4. ჩამონათვალიდან რომელი არ წარმოადგენს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმას?

ა. არჩევნებში მონაწილეობა

ბ. ინტერესთა ჯგუფებში ჩართულობა

გ. ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა

დ. მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა

5. ჩამონათვლიდან რომელი არ წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანას?

ა. შემოსავლების გადანაწილება

ბ. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

გ. ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა

დ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დადგენა

6. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით რომელი მონაცემები გამოიყენება უმუშევრობის დონის გამოსათვლელად?

ა. დასაქმებულთა რაოდენობა და უმუშევართა რაოდენობა

ბ. უმუშევართა რაოდენობა და სამუშაო ძალის მთლიანი რაოდენობა

გ. აქტიური სამუშაო ძალა და სამუშაო ძალის გარეთ მყოფთა რაოდენობა

დ. დასაქმებულთა რაოდენობა და შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობა

7. გერმანიაში 1921 წლის იანვარში ყოველდღიური გაზეთი 0,30 მარკა ღირდა. 1922 წლის ნოემბერში იგივე გაზეთის ფასი 70 000 000 მარკა გახდა. რა ეწოდება ამ მოვლენას ეკონომიკაში?

ა. დეფლაცია

ბ. ინფლაცია

გ. დევალვაცია

დ. რეცესია

8. რა ეწოდება სახელმწიფოში არსებული რესურსების, შესაძლებლობებისა და სარგებელის თანასწორობის პრინციპებით განაწილებასა და ხელმისაწვდომობას?

ა. სოციალური პოლიტიკა

ბ. სოციალური მეწარმეობა

გ. სოციალური კეთილდღეობა

დ. სოციალური სამართლიანობა

9. ოლიგოპოლიისა და მონოპოლიის შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

- ა. ოლიგოპოლია ოლიგარქიული მმართველობაა, ხოლო მონოპოლია - მონოპოლისტთა მმართველობა.
- ბ. ოლიგოპოლია ბაზრის თვითრეგულაციის პრინციპს გულისხმობს, მონოპოლია კი - სახელმწიფოს მიერ ბაზრის რეგულაციას.
- გ. ოლიგოპოლია მწარმოებლებისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობით ფორმირდება, ხოლო მონოპოლია მწარმოებლების დამოუკიდებლობას გულისხმობს.
- დ. ოლიგოპოლია ბაზრის ფორმაა, სადაც დომინირებს მომწოდებელთა მცირე ჯგუფი, ხოლო მონოპოლია მხოლოდ ერთი მწარმოებლის დომინირებას გულისხმობს.

10. ადვოკატირებისა და ლობირების შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა. ადვოკატირება, რაიმე პროცესზე სისტემატური დაკვირვებაა, მისი გაუმჯობესების მიზნით, ლობირება კი მიმართულია გარკვეული სოციალური ჯგუფის ინტერესთა ან უფლებების დაცვისაკენ.

ბ. ადვოკატირება ხელისუფლების მიერ გარკვეული იდეოლოგიის გავრცელებაა, ლობირება კი - საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის.

გ. ადვოკატირება პირის/პირთა ჯგუფის მიერ მართული პროცესია, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ინსტიტუტების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მიზნით, ლობირება ადვოკატირების ნაირსახეობაა, რომლის ძირითადი ფოკუსი კანონმდებლობის შეცვლაა.

დ. ადვოკატირების მიზანია ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებზე კანონმდებლობის შეცვლის გზით, ლობირება კი - რაიმე პროცესზე სისტემატური დაკვირვებაა, მისი გაუმჯობესების მიზნით.

11. დემოკრატიულობის ძირითადი ნიშნებისა და მახასიათებლების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

I. სახელმწიფოს დემოკრატიულობას განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის ფორმა. ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოები დემოკრატიულია, უნიტარული - არადემოკრატიული.

II. დემოკრატიულ სახელმწიფოს ახასიათებს პოლიტიკური და იდეოლოგიური შემწყნარებლობა.


ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

12. დიაგრამაზე ასახულია დასაქმებული მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა:



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა. ხანდაზმული კაცები მეტად არიან დასაქმებულები, ვიდრე ქალები

ბ. 25-34 წლის დასაქმებული კაცების რაოდენობა აღემატება 45-54 წლის დასაქმებული ქალების რაოდენობას

გ. დასაქმებულ კაცთა საერთო რაოდენობა აღემატება დასაქმებულ ქალთა საერთო რაოდენობას

დ. ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებული ქალების რაოდენობა აღემატება კაცების რაოდენობას

13. თქვენს წინაშეა 2014 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ განხორციელებული კვლევის შედეგები:

- მოსახლეობის უმეტესობას (94%) ესმის, რომ ბავშვისთვის საზიანოა, თუ ის ოჯახში ძალადობის მომსწრეა, თუმცა 91% ოჯახის „შიდა საქმეებში“ გარეშე პირთა ჩარევის წინააღმდეგია
- საქართველოს მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას არ წარმოადგენს
- საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80% ფიქრობს, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა. მოსახლეობის უმეტესობა არ აღიარებს ქვეყანაში ბავშვებზე რაიმე სახის ძალადობის არსებობას
- ბ. ფსიქოლოგიური ძალადობა საზოგადოების მიერ კარგად აღქმული და გაცნობიერებული პრობლემაა
- გ. მოსახლეობის უმეტესობა არ განიხილავს ბავშვთა მიმართ ძალადობას მხოლოდ ოჯახურ პრობლემად და მომხრეა მის გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის
- დ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ინფორმირებულია ძალადობის პრობლემის შესახებ, მოქალაქეთა უმრავლესობას არ აქვს გაცნობიერებული სამართლებრივი რეაგირების აუცილებლობა

14. სქემაზე არათანმიმდევრულად არის მოცემული ქვეყნები, სადაც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქალებს მისცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.



დაალაგეთ ქვეყნები ქრონოლოგიურად ქალებისათვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მინიჭების თარიღების მიხედვით:




		1*	
--	--	----	--

* სწორი პასუხი მითითებულია ცხრილში


15. (2) II სვეტში მოცემულია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება პროგრამების განხორციელების პროცესში, ხოლო I სვეტში - შედეგები, რომელიც მიიღწევა ამ პრინციპებზე დაყრდნობით. დაამყარეთ შესაბამისობა პრინციპებსა და შედეგებს შორის:





I. შედეგები	II. ძირითადი პრინციპები
ა. ზრდის და აძლიერებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას	1. უფლებებთან კავშირი
ბ. ავითარებს მონიტორინგის მექანიზმებს და ზრდის გამჭვირვალობას	2. მდგრადობა
გ. საზოგადოების ყველაზე მარგინალურ და გარიყულ ჯგუფებზე აქცენტის გაკეთებით ამცირებს მოწყვლადობას	3. ანგარიშვალდებულება
დ. ავითარებს უნარებსა და ზრდის ხელმისაწვდომობას, რითაც ამაღლებს ქმედითობას	4. დისკრიმინაციის აკრძალვა
ე. ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა რეალიზებას, პოლიტიკასა და პრაქტიკაზე უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენას	5. მონაწილეობა
ვ. ხელს უწყობს გრძელვადიანი შედეგებისა და სტაბილური ცვლილებების მიღწევას	6. შესაძლებლობების გაძლიერება

16. (1) წარმოდგენილი ილუსტრაცია ასახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების სხვადასხვა მიდგომას. დაამყარეთ შესაბამისობა I მწკრივში მოცემულ ილუსტრაციებსა და II მწკრივში მოცემულ განათლების მოდელებს შორის.


I. ილუსტრაცია	<p>ა. </p>	<p>ბ. </p>	<p>გ. </p>
II. განათლების მოდელები	1. ინტეგრირებული განათლება	2. ინკლუზიური განათლება	3. სეგრეგაციული განათლება

17. (1) რუკა ასახავს სხვადასხვა ქვეყნებში რელიგიის გავრცელებას. რუკის ანალიზის საფუძველზე, დაამყარეთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის:



I.		II.
ა. ლურჯი		1. მართლმადიდებლობა
ბ. წითელი		2. ისლამი
გ. მწვანე		3. პროტესტანტიზმი
დ. იასამნისფერი		4. კათოლიციზმი

18. (2) მოცემულია გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპების სქემატური გამოსახულება. დაასახელეთ სქემაში წარმოდგენილი განმარტებების შესაბამისი პრინციპები:



19. (8) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

აღმასრულებელი ხელისუფლება საქართველოში

საქართველოს, მას შემდეგ რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავად მიეცა შესაძლებლობა, განესაზღვრა მისთვის მისაღები პოლიტიკური წყობილების ფორმა. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის კაპიტალისტური რესპუბლიკა. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია კი განსაზღვრულია 1921 წლის მდგომარეობით. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს წარმომადგენლების მეშვეობით. მიუხედავად ამგვარი პრინციპისა, ხალხს აგრეთვე აქვს სახელმწიფოს მართვის პროცესებზე პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის საშუალება. ამგვარი ზეგავლენის ინსტრუმენტს, მაგალითად, საყოველთაო სახალხო კენჭისყრა - პეტიცია წარმოადგენს, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს წარმომადგენლების გარეშე გადაწყვიტოს კონსტიტუციური, საკანონმდებლო ან შიდა და საგარეო პოლიტიკური საკითხები.

1991 წელს მიღებული, დღეისათვის მოქმედი, კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მართველობის ფორმად განისაზღვრა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, თუმცა, საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს მეთაურის-პრეზიდენტის ფუნქციები.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ძალაუფლება ნაწილდება ხელისუფლების სამ შტოზე: სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებზე. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. საკუთარ საქმიანობაში საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს სასამართლოს წინაშე.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს საკრებულო, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

20. (6) გაეცანით მოსწავლეების ნაშრომებს და შეაფასეთ ისინი მოცემული სქემით.

მასწავლებელმა გაკვეთილზე განიხილა თემა „კონფლიქტი“ და მოსწავლეებს შესაბამისი მითითებების შემდეგ შესთავაზა წერითი დავალება: „საზოგადოებრივი კონფლიქტი და მისი მოგვარების სტრატეგიები.“

I მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება :

კონფლიქტი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ხდებიან მათი ბოლომდე ორი განსხვავებული აზრი, შეხედულება, პოზიცია ოპონენტების მიერ.

კონფლიქტები არსებობს სხვადასხვა სახის, შესაძლებელია ერთი და იმავე აზრის ან პოზიციის დამოკიდებულებით განსხვავებული მხარეების მიხედვით. საზოგადოებრივი კონფლიქტის ერთ-ერთი ფორმაა შიდა-სოციალური კონფლიქტი და სიმეტრიული ომი.

კონფლიქტი, ერთი მხრივ, დადებითი მოვლენაა, რადგან ამ დროს შეიძლება მიხედვით განსხვავებული მოსაზრების მისაღებად საკუთარი პოზიციის შესახებ. თუმცა ის, ასევე შეიძლება იყოს მხედველად დამოკიდებულების წინაპირობად იქცეს და მისი მოსაგებობისთვის დიდი ძალისხმევა გახდეს საჭირო ან სოციალური მოუკიდებელი დაზიანება. ამიტომ უნდა ვიცოდეთ კონფლიქტის სიციფიკური მიზეზები.

არსებობს კონფლიქტის დროს ქცევის მოდელები, ისინი: კონკურენცია, თანამშრომლობა, აღიარება და შეგუება. თითოეული მათგანს სხვადასხვა მიზეზები დამოკიდებულებას და მიღობს განსაზღვრებს.

II მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება:

ქონველიცხი ვახსხვებულ იხეგრესენ, მიხნენ ან ვეძვრენას შორის სართო თახხვედლის ნეწილოებში ვახუვეთას ვხლოებ. ივი ადამიხნებში ხ ძიოსდ ხეებ.

ქონველიცხი არ არის მხოლოდ ვარყოფითი ძივლოენ, მას თახისთავად ვადვინთი მხარეკ ახსნიათიენ, რადვან ასეთი სიწეუციების ვლოს იძორქეენ ძლიერი მხარე, რეკ თვალსახინო მუბელითი მქძვლოდ ვრთიორთონებში ვახსთივთისნიხებლად. ქონველიცხის ახალიზისთიის აუცილოებლით ქონველიცხის ძიხანილო მხარეთ პოხიციებისა ვა იხეგრესების მქსნავლას. პოხიციას, არის ძიოხიენას, რომლოენსუკ ძიხანილოენი ვითად ვამოთევაძენ, იხეგრესი ვი ის, რეკ მათ ნადევილად სოლო. ქონველიცხები ხ ძიოთ ვოველოდლიორ ცხოვრებში, მქიძლოებ მახდეს იხეგრესით ან იხვლოძუციოელი ქონველიცხებოც.

ადამიხნები ქონველიცხოლ სიწეუციებში ვეკევის სხედასხვას სეოსეგვიებს მიძროთვეენ, ვსენიას: ქოძპლოძისი, თახამპლოძლობას, მქეოებ, პარეწილობას ვა ასეწიოელიობას. ქოძპლოძისი ვა თახამპლოძლობას მათ შორის ვეველასზე მისავებიას, რადვან ამ ვლოს ხეებს ორივე მხარისათიის მისავები ვამოსავლის პოენას.

შეფასების სქემა


	I. რა მოწმდება	II. მაქ. ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	კონფლიქტის განმარტება	1	იცის განმარტება – 1ქ., არ იცის განმარტება – 0 ქ.;
B.	კონფლიქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები	2	სწორად აღწერილი დადებითი მხარე – 1ქ., სწორად აღწერილი უარყოფითი მხარე – 1ქ.,
C.	ქცევის მოდელები კონფლიქტის დროს	5	თითოეული სწორად დასახელებული ქცევის მოდელი - 1 ქულა

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე მოსწავლის ნაშრომი შეაფასეთ მოცემული სქემის მიხედვით. მოსწავლეებს დაუწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე.

მოსწავლისათვის თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ ცხრილში:

		A	B	C
20.1	I მოსწავლის შეფასება			
20.2	II მოსწავლის შეფასება			

21. (3) მოცემული რუკა ასახავს ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის გაფართოებას. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



21.1 რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია გამოსახული ლეგენდაზე აღნიშნული ფერებით?

21.2 რომელ წელს შეუერთდა აღნიშნულ ორგანიზაციას X სიმბოლოთი აღნიშნული ქვეყანის ტერიტორია?

ა. 1949

ბ. 1952

გ. 1955

დ. 1990


21.3 იმსჯელეთ, საქართველოს სახელმწიფოსა და რუკაზე გამოსახული ორგანიზაციის ურთიერთობაზე.

22. (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; (დავალება 22.2)
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; (დავალება 22.3)
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. (დავალება 22.1)

22. 1.	პროექტის მიზანი	<i>(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</i>
22. 2.	პროექტის ამოცანები	<p><u>I ამოცანა:</u> 25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციის დღისათვის თემატური ღონისძიებების მოწყობა სკოლის მოსწავლეებისათვის;</p> <p><u>II ამოცანა:</u> <i>(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა განხორციელების გზებიდან გამომდინარე)</i></p>
22. 3.	განხორციელების გზები	<p><u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> <i>(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)</i></p> <p><u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. საბჭოთა ოკუპაციისა და რეპრესიების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის ასახვა საინფორმაციო პოსტერებზე და სოფელში, უბანში, საჯარო თავშეყრის ადგილებზე გაკვრა; 2. ოკუპაციის შესახებ ფილმების ჩვენება და განხილვების მოწყობა მშობლებისა და თემის სხვა წარმომადგენლებისათვის; 3. აქციის მოწყობა „არა ოკუპაციას“.

23. (4 ქულა) გაეცანით ილუსტრაციას, რომელზეც საარჩევნო ბიულეტენია გამოსახული და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:



23.1 ვის განასახიერებს ილუსტრაციაზე მწყემსი და რისი სიმბოლოა ცხვრის ფარა? განსაზღვრეთ რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

23.2 როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დაიცვას მოქალაქემ თავი იმისაგან, რის წინააღმდეგაც არის მიმართული ილუსტრაცია?

23.3 იმსჯელეთ, ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის აქტუალობის შესახებ საქართველოს კონტექსტში.

24. (6) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

„მე ჩემის შეგნებისა და გვარად მაქვს სურვილი ვემსახურო თქვენს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას და ეროვნული საქმის განმტკიცებას. საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო ის, თუ რანაირად მესმის მე ეროვნული საქმის განმტკიცება...“

ეკლესიაში არ არის განსხვავება ხალხთა შორის, სისხლის შთამომავლობით სხვადასხვაობას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. ...

... თაიგული მით უფრო მშვენიერია, რამდენად ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვადლევს სხვის რწმენისა და ენის დევნილობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში.“


ამბროსი ხელაია, სიტყვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართული საზოგადოების წინაშე (1918 წ).

24.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და თემის აქტუალობის შესახებ.


24.2 დაასახელეთ ორ-ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად (თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

25. (8) გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1



იტალიელი ფილოსოფოსი და ასტრონომი ჯორდანო ბრუნო, ინკვიზიციის მიერ მკრეხელობაში მხილებული, 1600 წელს სიკვდილით იქნა დასჯილი. (ეტორე ფერარის ბარელიეფი).



ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე, რომელსაც ათენის მოქალაქეებმა „ახალგაზრდობის გარყვნასა და ახალი ღმერთების თაყვანისცემაში“ დასდეს ბრალი და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

წყარო N2

„მთელი კაცობრიობა ერთი აზრისა რომ ყოფილიყო და მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონოდა საპირისპირო აზრი, გამართლებული არ იქნებოდა კაცობრიობის მიერ ამ ერთი ადამიანის გაჩუმება, ვიდრე ამ ერთი ადამიანის მიერ მთელი კაცობრიობის გაჩუმება, თუკი მას ამის ძალა ექნებოდა.“

ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873

წყარო N3

„საკუთარი შეხედულების სხვების შეხედულებებთან შეჯერებით შესწორებისა და შევსების მყარ ჩვევას არათუ ეჭვი და მერყეობა არ შეაქვს მის პრაქტიკულ გამოყენებაში, არამედ ერთადერთი მტკიცე საფუძველია მის მიმართ ნდობის გამართლებისთვის. მართლაც, თუ ადამიანმა გაიგო ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას და ყველა მოწინააღმდეგის საპირისპიროდ თავის პოზიციაზე რჩება - რადგან იცის, რომ თავს კი არ არიდებდა შეკამათებებსა და სიძნელეებს, არამედ თავად ეძებდა მათ; რომ არ დაუხშვია არც ერთი წყარო, რომლისგანაც შეიძლებოდა შუქი მოჰფენოდა საკითხის რომელიმე მხარეს - მას აქვს უფლება, იფიქროს, რომ მისი შეხედულება სჯობს ნებისმიერი სხვის, რაგინდ ბევრის, შეხედულებას, რომელსაც მსგავსი პროცესი არ გაუვლია.“

ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873

25.1 წარმოდგენილი მსჯელობებიდან რომელი შეესატყვისება N2 წყაროში გამოთქმულ აზრს?

- ა. თუკი ინდივიდის მოსაზრება ეწინააღმდეგება უმრავლესობის აზრს, მაშინ ის დადუმებულ უნდა იქნას.
- ბ. უმრავლესობის შეხედულება უფრო მართებულია, ვიდრე უმცირესობის, ვინაიდან უფრო მეტი ადამიანის მიერ არის გაზიარებული.
- გ. საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით ინდივიდმა არ უნდა მიაყენოს უმრავლესობის გრძნობებს შეურაცხყოფა.
- დ. არავის აქვს უფლება აუკრძალოს სხვას, თუნდაც უმრავლესობის მიერ გაზიარებული პოზიციის საპირისპირო პოზიციის დაფიქსირება.

25.2 დაასახელეთ პოლიტიკური იდეოლოგია, რომლისთვისაც არის დამახასიათებელი N2 და N3 წყაროებში გამოთქმული შეხედულებები:

25.3 საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ რომელ თავისუფლებასა თუ უფლებაზეა საუბარი N2 წყაროში?

26.4 წყაროების N1 და N3 ანალიზის საფუძველზე მოიყვანეთ ორი არგუმენტი, რომელიც განამტკიცებს N2 წყაროში გამოთქმულ მოსაზრებას:

25.5 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რამდენად აქტუალურია წყაროებში აღწერილი პრობლემა საქართველოს დღევანდელი რეალობისათვის. მოიყვანეთ მაგალითი:

25.6 იმსჯელეთ, დასაშვებია თუ არა იმ უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ, რომელზეც საუბარია N2 წყაროში. პასუხი დაასაბუთეთ:

პრაქტიკოსი მასწავლებლების საგნის გამოცდა

სამოქალაქო განათლება

ახალი ფორმატის ტესტის ნიმუშის

შეფასების სქემა

დავალებ ა №	სწორი პასუხი	მაქსიმალური შეფასება														
	<i>I. ცოდნა და უნარები</i>															
1.	ბ	1														
2.	ბ	1														
3.	დ	1														
4.	ბ	1														
5.	დ	1														
6.	ბ	1														
7.	ბ	1														
8.	დ	1														
9.	დ	1														
10.	ბ	1														
11.	ბ	1														
12.	ბ	1														
13.	დ	1														
14.	<table border="1"> <tr> <td>3</td> <td>4</td> <td>1*</td> <td>2</td> </tr> </table>	3	4	1*	2	1										
3	4	1*	2													
15.	<table border="1"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> <td>დ</td> <td>ე</td> <td>ვ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>5</td> <td>3</td> <td>4</td> <td>6</td> <td>1</td> <td>2</td> </tr> </table> <p>2 ქულა: 6 სწორი პასუხი; 1 ქულა: 5 ან 4 სწორი პასუხი; 0 ქულა: 4-ზე ნაკლები სწორი პასუხი.</p>	I	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	II	5	3	4	6	1	2	2
I	ა	ბ	გ	დ	ე	ვ										
II	5	3	4	6	1	2										
16.	<table border="1"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>3</td> <td>1</td> <td>2</td> </tr> </table>	I	ა	ბ	გ	II	3	1	2	1						
I	ა	ბ	გ													
II	3	1	2													

17.	<table border="1" data-bbox="613 180 989 310"> <tr> <td>I</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> <td>დ</td> </tr> <tr> <td>II</td> <td>4</td> <td>1</td> <td>2</td> <td>3</td> </tr> </table>	I	ა	ბ	გ	დ	II	4	1	2	3	1																	
I	ა	ბ	გ	დ																									
II	4	1	2	3																									
18.	<p>II. განვითარება; III. დაცვა; IV. მონაწილეობა .</p> <p>2 ქულა: დასახელებულია სამივე ძირითადი პრინციპი; 1 ქულა: სწორადაა დასახელებული მხოლოდ 2 პრინციპი; 0 ქულა: 2-ზე ნაკლები სწორი პასუხი, პასუხი არ არის მოცემული.</p>	2																											
19.	<table border="1" data-bbox="415 625 1187 1377"> <thead> <tr> <th></th> <th>შეცდომა</th> <th>უნდა იყოს</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>19.1</td> <td>კაპიტალისტური</td> <td>დემოკრატიული</td> </tr> <tr> <td>19.2</td> <td>1921</td> <td>1991</td> </tr> <tr> <td>19.3</td> <td>პეტიცია</td> <td>რეფერენდუმი</td> </tr> <tr> <td>19.4</td> <td>1991</td> <td>1995</td> </tr> <tr> <td>19.5</td> <td>გაიზარდა</td> <td>შეიზღუდა/შემცირდა</td> </tr> <tr> <td>19.6</td> <td>პრეზიდენტი</td> <td>პრემიერი-მინისტრი</td> </tr> <tr> <td>19.7</td> <td>სასამართლოს</td> <td>პარლამენტის</td> </tr> <tr> <td>19.8</td> <td>საკრებულო</td> <td>სახელმწიფო რწმუნებული/გუბერნატორი</td> </tr> </tbody> </table> <p style="text-align: center;">ყოველი მართებული შესწორებული შეცდომა ფასდება 1 ქულით</p>		შეცდომა	უნდა იყოს	19.1	კაპიტალისტური	დემოკრატიული	19.2	1921	1991	19.3	პეტიცია	რეფერენდუმი	19.4	1991	1995	19.5	გაიზარდა	შეიზღუდა/შემცირდა	19.6	პრეზიდენტი	პრემიერი-მინისტრი	19.7	სასამართლოს	პარლამენტის	19.8	საკრებულო	სახელმწიფო რწმუნებული/გუბერნატორი	8
	შეცდომა	უნდა იყოს																											
19.1	კაპიტალისტური	დემოკრატიული																											
19.2	1921	1991																											
19.3	პეტიცია	რეფერენდუმი																											
19.4	1991	1995																											
19.5	გაიზარდა	შეიზღუდა/შემცირდა																											
19.6	პრეზიდენტი	პრემიერი-მინისტრი																											
19.7	სასამართლოს	პარლამენტის																											
19.8	საკრებულო	სახელმწიფო რწმუნებული/გუბერნატორი																											
20.	<table border="1" data-bbox="399 1587 1203 1759"> <thead> <tr> <th></th> <th></th> <th>A</th> <th>B</th> <th>C</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>20.1</td> <td>I მოსწავლის შეფასება</td> <td>1</td> <td>2</td> <td>4</td> </tr> <tr> <td>20.2</td> <td>II მოსწავლის შეფასება</td> <td>0</td> <td>0</td> <td>3</td> </tr> </tbody> </table>			A	B	C	20.1	I მოსწავლის შეფასება	1	2	4	20.2	II მოსწავლის შეფასება	0	0	3	6												
		A	B	C																									
20.1	I მოსწავლის შეფასება	1	2	4																									
20.2	II მოსწავლის შეფასება	0	0	3																									

21.	<p>21.1 1ქ. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (ნატო)</p> <p>21.2 1ქ. დ</p> <p>21.3 1ქ. მოცემულია მართებული მსჯელობა ნატოსა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. მსჯელობა არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას.</p>	3
22.	<p>22.1 1 ქ. პროექტის მიზნის შესაბამისად განსაზღვრა და მკაფიოდ ჩამოყალიბება <i>ნიმუში: საბჭოთა ოკუპაციის შესახებ მოწვევლებისა და თემის ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლება;</i></p> <p>22.2 1 ქ. პროექტის ამოცანის განხორციელების გზების შესაბამისად და მკაფიოდ ჩამოყალიბება <i>ნიმუში: საინფორმაციო კამპანია თემში</i></p> <p>22.3 მაქსიმალური 3 ქ. ყოველი დასახელებული (დამოუკიდებელი) განხორციელების გზა, რომელიც ამოცანის შესაბამისია - 1 ქ. <i>ნიმუში:</i></p> <ol style="list-style-type: none"> 1. ოკუპაციის მუზეუმში სტუმრობა, მათთან თანამშრომლობით მასალების შეგროვება და სასკოლო გამოფენის მოწყობა; 2. საბჭოთა ოკუპაციის თემაზე სასკოლო კონფერენციის გამართვა; 3. საბჭოთა ოკუპაციის შესახებ თხზულებათა კონკურსის გამართვა. 	5
23.	<p>23.1 მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>2 ქულა: მოცემულია ორივე სიმბოლოს ლოგიკური ახსნა. ასევე, მოცემულია ადეკვატური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას და სწორად ხსნის ილუსტრაციის საზრისის;</p> <p>1 ქულა: მოცემულია ორივე სიმბოლოს ლოგიკური ახსნა. არ არის მოცემული, არასრულყოფილი ან არალოგიკურია მსჯელობა ილუსტრაციის მთავარი სათქმელის შესახებ.</p> <p>1 ქულა: მოცემულია მხოლოდ ერთი სიმბოლოს სწორი ახსნა/ არალოგიკურია სიმბოლოების ახსნა/პასუხი არ არის მოცემული. მოცემულია ადეკვატური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას და სწორად ხსნის ილუსტრაციის საზრისის;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული, არასრულყოფილი ან არალოგიკურია</p> <p><i>ნიმუში: არჩევნებში მონაწილე კანდიდატი, ამომრჩეველი. საზოგადოება შესაძლოა დაემსგავსოს ცხვრის ფარას, თუ ბრმად</i></p>	4

	<p>გაჰყვება საარჩევნო კანდიდატის პოპულისტურ დაპირებებს და არ დაფიქრდება მოსალოდნელ შედეგზე.</p> <p>23.2 მაქსიმალური 1 ქულა 1 ქულა: ადეკვატური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; 0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული, არასრულყოფილი ან არალოგიკურია <i>ნიმუში:</i> ამომრჩეველმა უნდა შეისწავლოს კანდიდატის საარჩევნო პროგრამა, განასხვავოს რეალური და არარეალური დაპირებები, შეისწავლოს აქვს თუ არა საკმარისი რესურსი დაპირების შესასრულებლად, რათა გააზრებული არჩევანი გააკეთოს.</p> <p>23.3 მაქსიმალური 1 ქულა 1 ქულა: ადეკვატური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; 0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული, არასრულყოფილი ან არალოგიკურია</p>	
<p>24.</p>	<p>24.1 მაქსიმალური 2ქ. 2 ქულა: სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ასევე, მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი სადისკუსიო თემის მიმართება მოტანილ ნაწყვეტთან/ ნაჩვენებია თემის აქტუალობა. 1 ქულა: თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. არის პრობლემატური, ორმხრივი, დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, თემის აქტუალობის შესახებ მსჯელობა არადამაჯერებელია. 1 ქულა: თემა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ან ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ ტექსტს, თუმცა იძლევა დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას. მოცემულია დამაჯერებელი მსჯელობა თემის აქტუალობის შესახებ. 0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არ შეესაბამება ტექსტს.</p> <p>24.2 მაქსიმალური 4 ქ. თითო მტკიცებითი არგუმენტი -1 ქულა, თითო უარმყოფელი არგუმენტი - 1 ქულა: სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი, დადებითი ღირებულების მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით; თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.</p>	<p>6</p>

<p>25.</p>	<p>25.1 1ქ. დ</p> <p>25.2 1ქ. ლიბერალიზმი</p> <p>25.3 1ქ. გამოხატვის თავისუფლება</p> <p>25.4 მაქსიმალური 2 ქ. თითოეული სწორად დასახელებული არგუმენტი თითო ქულა.</p> <p>25.5 მაქსიმალური 2 ქ.</p> <p>2 ქულა: მოცემულია გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა, პასუხი ადეკვატურია, არგუმენტირებულია, მოყვანილია შესაბამისი მაგალითი.</p> <p>1 ქულა: მოცემულია გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა, პასუხი ადეკვატურია, არგუმენტირებულია, არ არის მოყვანილი მაგალითი. ან მაგალითი ადეკვატურია, სწორადაა მოყვანილი, მსჯელობა სუსტია, აკლია არგუმენტაცია.</p> <p>25. 6 1ქ. ადეკვატური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასაბუთებული მსჯელობა ფაქტობრივი შეცდომის გარეშე.</p>	<p>8</p>
	<p>ტესტის მაქსიმალური ქულა</p>	<p>60</p>